სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თორნიკე ქოჩქიანის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**1**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

შემფასებელი: ლევანი თევზაძე

თარიღი: 07.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

7 ივლისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით დაწყებულ საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თორნიკე ქოჩქიანის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **თორნიკე ქოჩქიანი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 29 აპრილს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 32 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2018 წელი), სპეციალობით მუშაობს 10 წელია, კერძოდ:

- 2015 წლის თებერვალი - 2017 წლის ივნისი, კანცელარიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2017 წლის ივნისი - 2018 წლის აგვისტო, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივანი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2018 წლის აგვისტო - 2019 წლის მაისი, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2019 წლის მაისი - 2023 წლის ოქტომბერი, თავმჯდომარის ბიუროს მოსამართლის (თავმჯდომარის) თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2023 წლის აგვისტო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს უფროსის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2017 - 2023 წლები, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოს წევრი და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტი;
- 2023 წლის ოქტომბერი - 2025 წლის თებერვალი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატ თორნიკე ქოჩქიანის შესახებ ინტერნეტსივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული სანქცია გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ თორნიკე ქოჩქიანის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატმა წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი, თემაზე: "კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი ასპექტები".

თორნიკე ქოჩქიანი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 77/19.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „*სამოქალაქო სამართალში* - თორნიკე ქოჩქიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი ლოგიკური მსჯელობა. მიუხედავად იმისა რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. *ადმინისტრაციულ სამართალში* - თორნიკე ქოჩქიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას გააჩნია სამართლებრივი ანალიზის უნარი, საფუძვლიანი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს აკადემიური წერა. *სისხლის სამართალში* - თორნიკე ქოჩქიანი მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან

სწორად მისადაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე".

თორნიკე ქოჩქიანს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: 2018 წლის ოქტომბერი, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები; 2019 წლის 29-30 სექტემბერი, დოკუმენტების გამართულად წერა; 2019 წლის 7-8 დეკემბერი, მართვის უნარები; 2021 წლის 7 აპრილი, ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე; 2022 წლის 30 აპრილი - 01 მაისი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო).

თორნიკე ქოჩქიანმა 2023 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

საჯარო მოსმენისას თორნიკე ქოჩქიანს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის პრინციპული, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით და შეუვალობით, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ყოველგვარი პოლიტიკური და სხვაგვარი მიკერძოებულობის გარეშე.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი თავდაჭერილი და კორექტულია კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს ემოციების მართვის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი პროფესიულ და საზოგადოებრივ წრეებში სარგებლობს დადებითი რეპუტაციით და ავტორიტეტით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი თორნიკე ქოჩქიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს სისხლის სამართლის მიმართულებით გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძალიან კარგი ცოდნა. ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების თანახმად, კანდიდატი როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართლაში მაღალ დონეზე ფლობს თეორიულ ცოდნას. შესაბამისად, კანდიდატი, საჯარო მოსმენისას გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი, სწორად ხედავს სამართლებრივ პრობლემას და აქვს მისი გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთის და მისი დასაბუთების უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს აქვს კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებს გამართულად, აზრს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად გადმოსცემს. მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „კანდიდატს შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები გასაგებად გადმოსცეს. მისი მსჯელობები საფუძლიანი და გამართულია. ამასთან, მან უნდა განავითაროს აკადემიური წერის კულტურა. თორნიკე ქოჩქიანს აქვს უნარი სტრუქტურირებულად და ლაკონიურად გადმოსცეს აზრი, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან და საკვანძო საკითხებზე. გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს **19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის ორგანიზებული, პუნქტუალური, შრომისმოყვარე, გულმოდგინე, მიზანდასახული, ეფექტურად ახდენს პრიორიტეტების განსაზღვრას და გადანაწილებას, აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი მუდმივად ცდილობს განავითაროს საკუთარი თავი პროფესიული კუთხით, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, საუკეთესოდ ფლობს საოფისე კულტურას, შეძენილ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა);**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 87 ქულას.

ლევანი თევზაძე